RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

როგორ აძლიერებს ნატოს გაფართოება ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას: ბალტიის ქვეყნების მაგალითი

მეგი ბენია

159

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მეგი ბენია

როგორ აძლიერებს ნატოს გაფართოება ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას: ბალტიის ქვეყნების მაგალითი

159

2021

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-8-3393-9

„ყოველი ევროპული სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფვის დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრისა და ძლიერი სამოქალაქო კულტურისაკენ, მიღებული უნდა იყოს ევროპულ სახლში. ევროპის ყველა ახალ დემოკრატიას, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ისეთივე შანსი უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების, თავისუფლებისა და ევროპულ ინსტიტუტებთან შეერთების, როგორიც აქვთ ევროპის ძველ დემოკრატიებს.

მე მჯერა, რომ ნატოს წევრი გახდება ყველა ევროპული დემოკრატია, რომელიც მისკენ მიისწრაფვის და მზადაა გაიზიაროს ის პასუხისმგებლობა, რომელიც აქვს ნატოს“.

აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, 15 ივნისი, 2001

შესავალი

ნატო ცივი ომის დასრულების შემდეგ, თავისი გაფართოების ხუთი ტალღით, ღია კარის პოლიტიკის ერთგული რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ალიანსის უსაფრთხოება, ნატოს გაფართოების მიმართ სკეპტიციზმი მაინც არსებობს აკადემიური და პოლიტიკური წრეების დღის წესრიგში.

საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბალტიისპირეთის თითოეულმა სახელმწიფომ ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების სურვილი მკაფიოდ განაცხადა. 2004 წელს სამივე სახელმწიფო გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულფასოვანი წევრი. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ვითარების მსგავსად, ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში გაწევრიანება არ ყოფილა ფართოდ მიღებული აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში. მაშინ, როდესაც პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაცია მხარს უჭერდა ღია კარის პოლიტიკას ბალტიისპირეთის მიმართ, ოფიციალური პირები და საექსპერტო წრეები ამ გადაწყვეტილებას არ განხილავდნენ პოზიტიურ მოვლენად.[1] თავად ჯორჯ ქენანიც ბალტიისპირეთის ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდიოდა და აცხადებდა, რომ ისტორიულად ეს ქვეყნები „ყველაზე დიდხანს იყვნენ რუსეთის ნაწილი, ვიდრე სხვა რაიმესი“.[2]

მიუხედავად ამ სირთულეებისა, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი შეუერთდნენ ალიანსს და დაამტკიცეს, რომ გაფართოების ეს ტალღა და ღია კარის პოლიტიკა არის ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების გარანტი. ამრიგად, წინამდებარე ნაშრომ-

[1] Banka, 2019.

[2] იქვე,

ში შევეცდებით ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მაგალითზე გამოვკვეთოთ ნატოს გაფართოების მნიშვნელობა ევროატლანტიკური რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია სამი ძირითადი სფერო, სადაც ალიანსმა ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო გაფართოების ამ ტალღით: ა) ევროპაში დემოკრატიული და ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფოების რიცხვის ზრდის ხარჯზე ევროატლანტიკურ რეგიონში გაძლიერებული მშვიდობა და სტაბილურობა; ბ) ნატოს აღმოსავლეთის ფლანგის გაზრდილი თავდაცვისუნარიანობა და გ) არატრადიციული საფრთხეების მიმართ ნატოს მედეგობის გასაძლიერებლად გაზრდილი შესაძლებლობები.

ევროატლანტიკური რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობის გაძლიერება

პირველ რიგში, ევროპაში დემოკრატიული, ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფოების რიცხვის მატების ხარჯზე შეიტანა ნატოს მეხუთე გაფართოებამ მნიშვნელოვანი წვლილი ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საკითხში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სტაბილურობის საუკეთესო გარანტიაა კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სისტემები და შესაბამისი რეფორმების გატარება ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და კანადის ბიუროს თანახმად, ნატოს წევრობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა „დემოკრატიის მხარდაჭერა, მათ შორის, მრავალფეროვნების მიმართ შემწყნარებლობითა და საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით პროგრესის მიღწევით“.[3] აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზაციისა და პოლიტიკური სისტემების დემოკრატიზაციისთვის.

დემოკრატიზაცია

მმართველობის სოციალისტური მოდელიდან დასავლური ტიპის დემოკრატიაზე გადასვლასთან ერთად, ბალტიის სახელმწიფოებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა მოქალაქე-

[3] State.gov, 1997.

ობისა და ეროვნული უმცირესობების საკითხი. გაწევრიანების ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად სამივე ქვეყანამ მოაწერა ხელი და მიიღო ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩოკონვენცია.

ესტონეთში უმცირესობებს გარანტირებული აქვთ საკუთარი ენისა და კულტურული თავისებურებების დაცვის უფლება და საკუთარ ენაზე განათლებისა და სხვა სოციალური აქტივობების ორგანიზება, რაც განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციაში. კონსტიტუცია ასევე არეგულირებს უმცირესობათა ენების გამოყენების საკითხს სკოლებსა (დაწესებულება თავად ირჩევს სასწავლო ენას) და ადგილობრივ თვითმმართველობებში (იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლების მინიმუმ ნახევარი მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას). ამასთან, ეთნიკური უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ კანონი განსაზღვრავს ესტონეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამართლებრივ სტატუსსა და უფლებებს.

ლატვიაში უმცირესობების უფლებები დაცულია ლატვიის კონსტიტუციის 114-ე მუხლით: „ინდივიდები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ უმცირესობებს, აქვთ უფლება დაიცვან და განავითარონ საკუთარი ენა და ეთნიკური და კულტურული იდენტობა“.[4] დამატებით, ეს უფლება დაცულია 1991 წელს მიღებულ კანონში ლატვიის ეროვნებებისა და ეთნიკური ჯგუფების კულტურული ავტონომიის უფლებისა და მისი შეუფერხებელი განვითარების შესახებ[5], რომელიც უზრუნველყოფს სამთავრობო სტრუქტურებში „ლატვიის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნებებისა და ეთნიკური ჯგუფების განათლების, ენისა და კულტურის განვითარებისთვის მატერიალური პირობების შექმნის მხარდაჭერას სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფით“.[6]

ბალტიის სახელმწიფოები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ეუთოსთან და ევროკავშირთან მოქალაქეობასთან და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ეუთოსა და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ორივე ორგანიზაციამ დაამტკიცა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ მიღებული კანონები სრულად შეესაბამება ევროკავშირისა და ეუთოს ნორმებს[7].

---

[4] Constitution of Latvia.

[5] OHCHR, 2002.

[6] MFA of Latvia, 2015.

[7] Committee on Foreign Relations, 2003, p. 119.

ეკონომიკური ტრანსფორმაცია

ბალტიის სახელმწიფოებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები, რომლებმაც საფუძველი დაუდო ლიბერალურ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემებს, მაღალი დონის ეკონომიკური სტიმულირებით, თავისუფალი ბაზრითა და მცირე საჯარო სექტორით.

ასლუნდის თანახმად, „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამივე სახელმწიფომ მოახერხა საკუთარი ინფლაციის შეზღუდვა 1000 პროცენტამდე 1992 წელს, მაგრამ მათი წარმოების მოცულობა თავისუფალ ვარდნაში იყო. ბალტიის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა არ მომხდარა 1995 წლამდე. ეკონომიკური ზრდა მათ ჰქონდათ 1996 წლიდან 1998 წლამდე, მაგრამ რუსეთის ეკონომიკურმა კოლაფსმა 1998 წელს ისევ შეაფერხა ეს პოზიტიური მაჩვენებელი“.[8]

2000 წლიდან სამივე ბალტიურმა ეკონომიკამ დაიწყო ზრდა, წლიურად, საშუალოდ, 8-9 პროცენტით. 2012 წლიდან თითოეულმა მათგანმა აჩვენა ყველაზე დიდი ზრდა ევროკავშირში. 2011-2014 წლებში სამი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთობლივი მაჩვენებელი იყო 4.1 პროცენტი, შედარებით ევროკავშირის საერთო 0.7 პროცენტთან. შედეგად, მათი ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაუკავშირდა ევროკავშირის ეკონომიკას[9].

ნატოს აღმოსავლეთის ფლანგის გაზრდილი თავდაცვისუნარიანობა

ნატოს აღმოსავლეთის ფლანგი წარმოადგენს ალიანსის ყველაზე მოწყვლად სექტორს, რომელსაც რუსეთის მხრიდან „შეღწევისა და დივერსიის მზარდი საფრთხე“[10] ემუქრება. ბალტიის ზღვას აქვს განსაკუთრებული სტრატეგიული დატვირთვა ალიანსისთვის. შესაბამისად, ალიანსის ტერიტორიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში სამხედრო ყოფნა ნატოს გაძლიერებული შეკავებისა და თავდაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია[11].

ცივი ომის დროს ბალტიის ზღვის რეგიონი იყო „ევროპაში ძირითადი ძალების დაპირისპირების პერიფერიაში არსებული „არავის მიწა“ (‘no-man’s land’). რეგიონის ასეთმა შედარებითმა გეო-

[8] Åslund, 2015.

[9] იქვე.

[10] Ben Hodges, 2019.

[11] იქვე.

სტრატეგიულმა მარგინალიზაციამ ხელი შეუწყო „სკანდინავიის ბალანსის“ აღმოცენებას. ეს მოიცავდა ორ ნეიტრალურ სახელმწიფოს (ფინეთი და შვედეთი) და ნატოს წევრ ორ სახელმწიფოს (ნორვეგია და დანია), რომლებსაც, თავის მხრივ, ჰქონდათ სპეციალური სტატუსი ალიანსში: არც ერთს არ ჰქონდა ბირთვული იარაღის ფლობის ან საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ჯარების მუდმივი განლაგების უფლება. სკანდინავიური ბალანსის წარმატება ის იყო, რომ ცივი ომის პერიოდში ბალტიის ზღვის რეგიონი დაბალი დაძაბულობის არეალად რჩებოდა“.[12]

საბჭოთა კავშირის დაშლამ შეცვალა უსაფრთხოების არსებული გარემო ბალტიის ზღვის რეგიონში. ბალტიის ზღვა გახდა საერთო ევროპული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ასპექტი. შესაბამისად, ნატოს მეხუთე გაფართოებამ გაზარდა ალიანსის უნარი, დაიცვას აღმოსავლეთის ფლანგი როგორც კოლექტიურ, ასევე ეროვნულ დონეზე. ვინაიდან ნატოში გაწევრიანების კიდევ ერთ კომპონენტს წარმოადგენს ნატოს სამხედრო ძალებთან თავსებადობა[13], ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა ჩადეს საკუთარი თავდაცვის სისტემების მოდერნიზაციაში ბოლო წლების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებს დღეს აქვთ შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი თავი და მოკავშირეები. მათ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ნატოს საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში.

ბალტიის სახელმწიფოების სამხედრო შესაძლებლობები

სამივე ბალტიურმა სახელმწიფომ, პირველ რიგში, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სამხედრო შესაძლებლობები.

ესტონეთის თავდაცვის ბიუჯეტი 1993 წლის 0.01 მლრდ აშშ დოლარიდან 2021 წელს 0.66 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა[14]. გარდა ამისა, ესტონეთის მთავრობამ განავითარა გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი მაღალგანვითარებული ტერიტორიული თავდაცვის, მედეგობისა და წინააღმდეგობის გეგმები და შესაძლებლობები, ასევე დამატებითი კონვენციური სამხედრო შესაძლებლობების განთავსების უნარი[15].

[12] Hyde-Price, 1998-2000.

[13] State.gov, 1997.

[14] Macrotrends n.d.

[15] Stephen J. Flangan, 2019.

ლატვიის თავდაცვის ბიუჯეტი 1993 წლის 0.02 მლრდ აშშ დოლარიდან 2021 წელს 0.71 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა[16]. ამასთან, ლატვიის მთავრობამ თავდაპირველად პრიორიტეტი მიანიჭა პროფესიული არმიის განვითარებას. დღეს ისინი ახორციელებენ კონვენციური ჯარების მოდერნიზაციას, ზრდიან ეროვნული გვარდიის რიცხვსა და შესაძლებლობებს და აუმჯობესებენ საზოგადოების მედეგობის უნარებს[17].

ლიეტუვის თავდაცვის ბიუჯეტი 1993 წლის 0.02 მლრდ აშშ დოლარიდან 2021 წელს 1.08 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა[18]. გარდა ამისა, ლიეტუვის მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა კონვენციურ ჯარებს, თუმცა ასევე მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ეროვნული გვარდიის და მოხალისეობრივი ჯარების მომზადებასა და შესაძლებლობების გაზრდაში. ლიეტუვამ დაიწყო მოქალაქეების მომზადება სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში მედეგობისა და წინააღმდეგობის უნარების განვითარებისთვის[19].

სამივე ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დახმარებით აუმჯობესებს და აფართოებს შედარებით მცირე სპეციალური ოპერაციების ძალებს (SOF)[20].

მეორე მხრივ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბალტიის სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნატოს მისიებსა და ოპერაციებში.

ესტონელები ერაყში 2003-2009 წლებში მსახურობდნენ. ოპერაციის ყველაზე ინტენსიურ ფაზაში ესტონელები წარმოდგენილი იყვნენ 40 სამხედრო პერსონალით და მსახურობდნენ ამერიკული სარდლობის ქვეშ[21]. ერაყში დაიღუპა ორი და დაშავდა 18 ჯარისკაცი[22]. ესტონელები მსახურობდნენ ავღანეთში, ISAF-ის მისიის ფარგლებში, როტაციული პრინციპით, ბრიტანული სამხედრო კონტინგენტის ქვეშ. ამასთან, ესტონეთმა დამატებით გაგზავნა ოფიცრები და პერსონალი Implementation Force (IFOR)-ისთვის და სამოქალაქო, სამხედრო და საპოლიციო პერსონალი ავღანური ჯარებისა და სამ-

[16] Macrotrends, Latvia Military Spending/Defense Budget 1993-2021 n.d.

[17] Stephen J. Flangan, 2019.

[18] Macrotrends, Lithuania Military Spending/Defense Budget 1993-2021 n.d.

[19] Stephen J. Flangan, 2019.

[20] იქვე.

[21] Corum, 2013.

[22] იქვე.

თავრობო პერსონალის მომზადების მხარდასაჭერად[23]. დღეს ესტონეთი ავღანეთში წარმოდგენილია 45 ჯარისკაცით, RSM მისიაში[24].

ლიეტუვის არმია ერაყში წარმოდგენილი იყო 120 ჯარისკაცით 2003-2007 წლებში, დანიური და პოლონური კონტინგენტის ქვეშ[25]. ავღანეთში ლიეტუველებმა გაგზავნეს მაღალი დონის სპეციალური ოპერაციების ჯგუფი და 180 სამხედრო მოსამსახურე[26]. დღეს ლიეტუვა ავღანეთში წარმოდგენილია 40 ჯარისკაცით, RSM მისიაში[27].

2003-2008 წლებში ერაყში ლატვია წარმოდგენილი იყო 136 სამხედრო პერსონალით, რომლებიც მსახურობდნენ ამერიკული სარდლობის ქვეშ[28]. სამი ლატვიელი დაიღუპა და სხვები დაშავდნენ ერაყის ოპერაციის დროს[29]. ავღანეთში ლატვიელებს წარმოდგენილი ჰქონდათ ერთი ასეულის ზომის ელემენტი, ნატოს IFOR სარდლობის ფარგლებში[30]. დღეს ლატვია ავღანეთში წარმოდგენილია 2 ჯარისკაცით, RSM მისიაში[31].

გარდა ამისა, სამივე ბალტიის სახელმწიფოს შეიარაღებულმა ძალებმა მიავლინეს სხვადასხვა ტიპის სპეციალისტებისგან შემდგარი ჯგუფები კოალიციური ოპერაციების მხარდასაჭერად. 2010 წელს სამ სახელმწიფოს ერთად ჰყავდა 750 სამხედრო მოსამსახურეზე მეტი, მათ შორის, სამოქალაქო სპეციალისტები და სამხედრო პერსონალი ავღანეთში[32].

სამხედრო პერსონალითა და რესურსების ასეთი მაღალი კონცენტრაციით გაღებული ძალისხმევა ადასტურებს, რომ პატარა სახელმწიფოებსაც შეუძლიათ წამყვანი სამხედრო შესაძლებლობებითა და მაღალი სტანდარტებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში და გააძლიერონ ალიანსის სამხედრო შესაძლებლობები. მაგალითისთვის, მხოლოდ ესტონეთმა, რომელიც 1.35-მილიონიანი ქვეყანაა და მშვიდობის

---

[23] იქვე.

[24] NATO, Resolute Support Mission (RSM) “placemat” (Key Facts and Figures), 2021.

[25] Corum, 2013.

[26] იქვე.

[27] NATO, Resolute Support Mission (RSM) “placemat” (Key Facts and Figures), 2021.

[28] Corum, 2013.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] NATO, Resolute Support Mission (RSM) “placemat” (Key Facts and Figures), 2021.

[32] Corum, 2013.

დროს 5 500 ჯარისკაცი ჰყავს, ხოლო ომის შემთხვევაში – 16 000, ავღანეთში 2009 წელს მიავლინა ორი ქვეითი ასეული და დამხმარე ელემენტები, ჯამში, 300 ადამიანი, რაც მისი მშვიდობის დროინდელი ჯარების 5.5 პროცენტია".[33]

ნატოს წვრთნები და პროგრამები ბალტიის სახელმწიფოებში

გაძლიერებული მოწინავე ჩართულობა[34]

2016 წლის ვარშავის სამიტზე, ნატოს გაძლიერებული შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში, მოკავშირეებმა გადაწყვიტეს გაეზარდათ ნატოს სამხედრო ყოფნა მის აღმოსავლეთ ნაწილში. 2017 წელს ამოქმედებული გაძლიერებული მოწინავე ჩართულობა (Enhanced Forward Presence – EFP) შედგება მრავალეროვნული შეიარაღებული ძალებისგან. ადგილზე, მასპინძელი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად, მუდმივადაა წარმოდგენილი როტაციის პრინციპით მოქმედი ოთხი ბატალიონი. წინასწარი პოზიციონირებისა და სწრაფი შევსების მხარდაჭერის მიზნით EFP ძალები უზრუნველყოფილია საჭირო ლოჯისტიკითა და ინფრასტრუქტურით.

ნატოს საჰაერო პატრულირების მისია[35]

როდესაც 2004 წელს ბალტიის სახელმწიფოები გაწევრიანდნენ ნატოში, ნატოს საჰაერო პატრულირება (NATO Air Policing) ამოქმედდა შიაულიაის საჰაერო ბაზაზე, ლიეტუვაში. 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, აღმოსავლეთ მოკავშირეების მიმართ ნატოს საგარანტიო ზომების (NATO's Assurance Measures) ფარგლებში, მეორე საჰაერო პატრულირება ამოქმედდა ემარის საჰაერო ბაზაზე, ესტონეთში. მოკავშირეების საჰაერო ხომალდები იგზავნება შიაულიაისა და ემარის საჰაერო ბაზებზე, ოთხთვიანი როტაციის პრინციპით, და უდემში, გერმანიაში მდებარე ნატოს გაერთიანებული საჰაერო ოპერაციების ცენტრს (NATO's Combined Air Operations Centre) ისინი მუდმივ მზადყოფნაში ჰყავს. ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის საჰაერო ძალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აღნიშნულ მისიაში, მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ფარგლებში საჰაერო მართვის ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი პერსონალის უზრუნველყოფის სახით.

---

[33] Corum, 2013.

[34] NATO, Boosting NATO's Presence in the East and Southeast n.d.

[35] AIRCOM n.d.

BALTOPS – ბალტიის ოპერაციები

BALTOPS არის უმსხვილესი მრავალეროვნული სწავლება ბალტიის ზღვაში.[36] მისი მიზანია, ერთი მხრივ, საზღვაო უსაფრთხოების გაუმჯობესება რეგიონში პარტნიორობისა და რესურსების გაზიარების საშუალებით და, მეორე მხრივ, ბალტიის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. სწავლება არის შესანიშნავი საშუალება მონაწილე სახელმწიფოების უნარებისა და შესაძლებლობების შესამოწმებლად. BALTOPS, რომელიც რეგიონში ტარდება 1972 წლიდან, არის საზღვაო სივრცეზე ორიენტირებული პირველი წვრთნები ნატოს მოკავშირეებისა და პარტნიორების მონაწილეობით. წვრთნები მოიცავს საჰაერო თავდაცვის, წყალქვეშა საომარი მოქმედებების, საზღვაო აკრძალვის კომპონენტებს.

2020 წელს ჩატარებული BALTOPS[37]-ის დროს ნატოს საზღვაო დარტყმისა და მხარდაჭერის ძალებმა ერთობლივი მართვის ცენტრში უახლესი ტექნოლოგიები დაამკვიდრეს, რათა წვრთნების მართვა ლისაბონის შტაბ-ბინიდან, პორტუგალიიდან, შეძლებოდათ. ახალი შესაძლებლობები მოიცავ არსებული საზღვაო სურათის თვალიერებას, საჰაერო მართვას, ნატოს საერთო ოპერაციულ სურათს, რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდების ქსელს, ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტებს, ტაქტიკურ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ზღვაში მოკავშირეთა ხომალდებთან კომუნიკაციის დასამყარებლად.

სამომავლო შესაძლებლობები

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრებთან რუსეთის გააქტიურებული მოქმედებების გათვალისწინებით, ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერების საჭიროება განსაკუთრებით იზრდება. „რუსეთის საჰაერო ძალების ხომალდები სულ უფრო ხშირად არღვევენ საჰაერო სივრცეს ბალტიის ზღვის თავზე, განსაკუთრებით, გეოგრაფიულად ხელსაყრელ ადგილას მდებარე კალინინგრადის ანკლავიდან. ისინი ხშირად შემჩნეული არიან ნატოს საჰაერო სივრცესთან, მოკავშირეების წინასწარ გაფრთხილების გარეშე“.[38] შესაბამისად, იმისათვის, რომ მოხდეს ესტონეთის, ლიეტუვისა და ლატვიის საჰაერო სივრცეში

[36] Royal Navy n.d.

[37] STRIKFORNATO n.d.

[38] AIRCOM n.d.

რუსეთის მუდმივი საჰაერო დარღვევების შეკავება და შეზღუდვა, აუცილებელია „საჰაერო პატრულირება გადაკეთდეს საჰაერო თავდაცვად, ბალტიის ქვეყნებში გაიზარდოს საჰაერო/სარაკეტო თავდაცვითი შესაძლებლობები და განვითარდეს საშუალო ხედვის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები, რომლებიც დაფარავს ბალტიის ქვეყნების მთლიან ტერიტორიას და მნიშვნელოვნად გაზრდის ნატოს საჰაერო პატრულირების არსებულ მისიას".[39] ბალტიის სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანების გარეშე აღნიშნული ამოცანის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. ძველი მიდგომა, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ეს ქვეყნები ყოფილიყვნენ ალიანსსა და რუსეთს შორის ბუფერული ზონა, ასეთი მასშტაბური სამხედრო მანევრების შესაძლებლობას შეზღუდავდა.

გაზრდილი შესაძლებლობა ახალი საფრთხეების მიმართ ნატოს მედეგობის გასაძლიერებლად

თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში ისეთი არატრადიციული საფრთხეები, როგორიცაა პროპაგანდა, დივერსია, საბოტაჟი, დეზინფორმაცია, კიბერშეტევები, ეკონომიკური ზეწოლა, ტერორიზმი და სხვა არასამხედრო ხერხები, წარმოადგენს მთავარ გამოწვევას ცალკეული სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების უსაფრთხოებისთვის.

ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უსაფრთხოების არატრადიციული გამოწვევების მიმართ მედეგობის გაძლიერებას. შესაბამისად, ნატომ მიიღო გაძლიერებული კიბერთავდაცვის პოლიტიკა უელსის სამიტზე 2014 წელს, რომელიც შემდგომში დამატებით განახლდა ვარშავის სამიტზე 2016 წელს, სადაც მოკავშირეებმა კიბერსივრცე აღიარეს ოპერაციების მეოთხე განზომილებად და მიიღეს კიბერთავდაცვის დათქმა (Cyber Defense Pledge)[40]. გარდა ამისა, ნატო აგრძელებს საკუთარი პოლიტიკის მოდერნიზაციას ცვალებადი უსაფრთხოების გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. ამ პროცესში ბალტიის სახელმწიფოები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მათი ისტორიული გამოცდილების გამო, რომელიც რუსეთის მხრიდან მომავალი დესტრუქციული ქმედებების მოგერიების პროცესში დაუგროვდათ. 2007 წელს ესტონეთზე განხორციელდა მსხვილი კიბერშეტევა. 2020 წელს ელექტრონული წერილი გაიგზავნა ნატოს

[39] Ben Hodges, 2019.

[40] NATO, Cyber defence, 2020.

გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის სახელით ლიეტუვის თავდაცვის სამინისტროში, რომელიც შეიცავდა მცდარ ინფორმაციას ლიეტუვის ტერიტორიიდან ნატოს ჯარების გაყვანის თაობაზე. არსებობს კიდევ ერთი მაგალითი საბჭოთა ლატვიის განთავისუფლებისადმი მიძღვნილ მონუმენტთან დაკავშირებით, რომელიც პერიოდულად ხდება რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საგანი.

ამ ყველა შემთხვევამ, რუსეთის მხრიდან მომავალი არაკონვენციური ქმედებების სხვა უამრავ მაგალითთან ერთად, აიძულა ბალტიის სახელმწიფოები განევითარებინათ წარმატებული გზები დეზინფორმაციასთან, კიბერ და სხვა ჰიბრიდულ აქტივობებთან გასამკლავებლად. მაგალითად, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის მონაცემებით, 2018 წლის კიბერუსაფრთხოების გლობალურ ინდექსში ლიეტუვა იკავებს მეოთხე, ხოლო ესტონეთი მეხუთე ადგილს.

ბალტიის ქვეყნების დახმარებით ნატოს აქვს უპირატესობა, გააძლიეროს მედეგობა არატრადიციული საფრთხეების მიმართ. ამრიგად, ესტონეთშია განთავსებული ნატოს კიბერთავდაცვის სრულყოფის ცენტრი, რომელიც გაიხსნა 2008 წელს[41]. ცენტრის მიზანია კიბერუსაფრთხოების თანამშრომლობის წახალისება, შესაძლებლობებისა და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა ნატოს წვერ ქვეყნებს შორის სწავლებებისა და კონფერენციების საშუალებით, რაც ხელს უწყობს ნატოსა და პარტნიორი სახელმწიფოების მომზადებას კიბერშეტევების შეკავებისა და ბრძოლისათვის. ლატვიაში განთავსებულია სტრატეგიული კომუნიკაციების სრულყოფის ცენტრი, რომელიც გაიხსნა 2014 წელს[42]. ცენტრი მიზნად ისახავს ალიანსში სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებას და თან ერთგვარი ჰაბის ფუნქციასაც ასრულებს სტრატეგიული კომუნიკაციის მომიჯნავე დისციპლინების სფეროში დებატებისთვის, იქნება ეს სახალხო დიპლომატია თუ საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები.

როგორც ნახსენებია ნატოს ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშში „ნატო 2030“, თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში სწრაფად მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით „ნატოს უნდა შეეძლოს დესტრუქციული და არატრადიციული სახის სხვადასხვა, ერთ-

[41] NATO, Centres of Excellence n.d.

[42] NATO, Centres of Excellence n.d.

დროულად განვითარებული მოვლენების მოგერიება“.[43] ამრიგად, ალიანსს შეუძლია მყარად დაეყრდნოს არაკონვენციური უსაფრთხოების გამოწვევებთან გამკლავების მხრივ ბალტიის ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწეულ წარმატებას.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სამი ძირითადი სფერო, რომლებშიც ალიანსმა ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო მეხუთე გაფართოების შედეგად. პირველი – ბალტიის სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანებამ გაზარდა დემოკრატიული, ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფოების რიცხვი ევროპაში, ვინაიდან შესაბამისი რეფორმების გატარება ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია – კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სისტემები ხომ სტაბილურობის უტყუარი გარანტია. მეორე – ნატოს მეხუთე გაფართოებამ გაზრდა ალიანსის აღმოსავლეთის ფლანგის თავდაცვისუნარიანობის შესაძლებლობა კოლექტიურ და ეროვნულ დონზე. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა ჩადეს მათი თავდაცვის სისტემების მოდერნიზაციაში. შესაბამისად, ამ სახელმწიფოებს უნარი აქვთ დაიცვან საკუთარი თავი და მოკავშირეები, რაც ნატოს წევრობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. დაბოლოს, ბალტიის ქვეყნების დახმარებით ნატოს აქვს უპირატესობა, გააძლიეროს მედეგობა არატრადიციული საფრთხეების მიმართ, ვინაიდან აღნიშნულმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს წარმატებული გზები დეზინფორმაციასთან, კიბერ და სხვა ჰიბრიდულ აქტივობებთან გასამკლავებლად.

ბალტიის სახელმწიფოების მაგალითის განხილვით ნაშრომში შევეცადეთ კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა, როგორ აძლიერებს ნატოს გაფართოება ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებას. ალიანსის ღია კარის პოლიტიკა არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და წარმატებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობასა და სტაბილურობას ევროატლანტიკურ სივრცეში. როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღნიშნა 1989 წლის 31 მაისს, დასავლეთ გერმანიაში სიტყვის გამოსვლის დროს, „40 წლის მანძილზე აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის თესლები ჩამარხული იყო უმოქმედოდ, ცივი ომის გაყინული ტუნდრის ქვეშ.

[43] A. Wess Mitchell, 2020.

40 წელი მსოფლიო ელოდა ცივი ომის დასრულებას. ათწლეულიდან ათწლეულამდე აყვავებული ადამიანური სული ხმებოდა კონფლიქტისა და ჩაგვრისგან; და მსოფლიო ისევ იცდიდა. მაგრამ თავისუფლებისაკენ ლტოლვა შეუძლებელია მუდმივად შეზღუდო. მსოფლიო საკმარისზე მეტ ხანს იცდიდა. ეს არის სწორი დრო. დაე, იყოს ევროპა ერთიანი და თავისუფალი".

ბიბლიოგრაფია

A. Wess Mitchell, Thomas de Maizière, John Bew, Greta Bossenmaier, Anja Dalgaard-Nielsen, Marta Dassù, Anna Fotyga, Tacan Ildem, Hubert Védrine and Herna Verhagen. 2020. *NATO 2030: United for a New Era.* Rflection Group appointed by the NATO Secretary General.

AIRCOM. n.d. *Baltic Air Policing.* https://ac.nato.int/missions/air-policing/baltics.

Åslund, Anders. 2015. "Why Have the Baltic Tigers Been So Successful?" *CESifo Forum, ISSN 2190-717X, ifo Institut - Leibniz-Institut für Wirtschaftsforschung an der,* Vol. 16 Iss. 4: 3-8.

Banka, Andris. 2019. "The Breakaways: A Retrospective on the Baltic Road to NATO." October 4. https://warontherocks.com/2019/10/the-breakaways-a-retrospective-on-the-baltic-road-to-nato/.

Ben Hodges, Janusz Bugajski, Peter B. Doran. 2019. *Strengthening NATO's Eastern Flank: A Strategy for Baltic-Black Sea Coherence.* Washington: CEPA.

Committee on Foreign Relations, U.S. Senate. 2003. *NATO Enlargement, Hearings before the Committee on Foreign Relations, US Senate.* Washington: US Senate.

Corum, James S. 2013. *Development of the Baltic Armed Forces in Light of Multinational Deployments.* Strategic Studies Institute, US Army War College Press.

Constitution of Latvia. *Constitution of the Republic of Latvia.* https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/lv/lv021en.pdf.

Hyde-Price, Adrian. 1998-2000. *NATO and the Baltic Sea Region: Towards Regional Security Governance?* NATO Research Fellowship Scheme 1998-2000.

Macrotrends. *Estonia Military Spending/Defense Budget 1993-2021.* https://www.macrotrends.net/countries/EST/estonia/military-spending-defense-budget.

Macrotrends. *Latvia Military Spending/Defense Budget 1993-2021.* https://www.macrotrends.net/countries/LVA/latvia/military-spending-defense-budget.

Macrotrends. *Lithuania Military Spending/Defense Budget 1993-2021.* https://www.macrotrends.net/countries/LTU/lithuania/military-spending-defense-budget.

MFA of Latvia. 2015. *Ethnic Composition and the Protection and Promotion of the Cultural Identity of National Minorities.* January 15. https://www.mfa.gov.lv/en/policy/society-integration/integration-policy-in-latvia-a-multi-faceted-approach/ethnic-structure-and-promotion-of-national-minorities-cultural-identity.

NATO. *Boosting NATO's presence in the east and southeast.* https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm.

NATO. *Centres of Excellence.* https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68372.htm.

NATO. 2020. "Cyber Defence." March 17.

NATO. 2021. *Resolute Support Mission (RSM) "placemat" (Key Facts and Figures).* NATO.

Royal Navy. *Exercise BALTOPS.* https://www.royalnavy.mod.uk/news-and-latest-activity/operations/arctic-and-northern-european-waters/exercise-baltops.

OHCHR. 2002. *REPORTS SUBMITTED BY STATES PARTIES UNDER ARTICLE 9 OF THE CONVENTION.* June 6. http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhsgCaATibnswFLs9akKGp2A9az%2B7eQCFkBR0w7E%2FQ11z7YwSRKXyoFHL6qHS6PEWuOVWDih7ShfdCWXDdhTxCvVxqnoikmYzrspijrOI92ZcJ.

State.gov. 1997. *Minimum Requirements for NATO Membership.* June 30. https://1997-2001.state.gov/regions/eur/fs_members.html#:~:text=We%20have%20made%20clear%20that,be%20under%20firm%20civilian%20control.

Stephen J. Flangan, Jan Osburg, Anika Binnendjik, Marta Kepe, Andrew Radin. 2019. *Deterring Russian Aggression in the Baltic States Through Resilience and Resistance.* RAND Corporation.

STRIKFORNATO. *BALTOPS 2020.* https://sfn.nato.int/media-center/news/2020/baltops-2020.